საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი)

2015 წლის საქმიანობის ანგარიში

შინაარსი

კანონმდებლობა - 3

ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო განრიგი - - - - - -6

2015 წლის ბიუჯეტი - 8

მოსახლეობის საყოველთაო აღწერა - - - - - - - - - - - - - - - - - 15

2015 წელს განხორციელებული ცვლილებები - - - - - - - - - - - - 17

საერთაშორისო თანამშრომლობა - 28

გეგმები 2016 წლისთვის - 31

კანონმდებლობა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სტატისტიკის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით შექმნილ დაწესებულებას, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად.

სამსახური შექმნილია და საქმიანობას წარმართავს "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე 2013 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მთავრობის №406 დადგენილებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების" თანახმად. სამსახური თავის საქმიანობაში ასევე ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, სხვა ნორმატიული აქტებით.

საქსტატი წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის სისტემის მაკოორდინირებელ დაწესებულებას. კანონის თანახმად, საქსტატი უზრუნველყოფს ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ ორგანოებთან კოორდინირებულ მუშაობას, გასცემს რეკომენდაციებს სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის შესახებ, ახორციელებს სტატისტიკის წარმოების მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებული ინფორმაციის გაცვლის კოორდინაციას და ხელს უწყობს დამტკიცებული სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის დანერგვას.

"ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, საქსტატის აღმასრულებელ დირექტორს ევალება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის შემუშავება და დასამტკიცებლად საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა. სტატისტიკური სამუშაოების პროგრამა განსაზღვრავს წლის განმავლობაში საქსტატის მიერ ოფიციალური სტატისტიკის წარმოებას შესაბამისი მონაცემების, პერიოდულობის და გამოქვეყნების ვადების მითითებით, შესაბამისად, სტატისტიკური სამუშაოების 2015 წლის პროგრამა დამტკიცებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 თებერვლის №336 განკარგულებით.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონისა და სტატსამუშაოთა პროგრამის საფუძველზე, საქსტატი უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოებისაგან და სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მოითხოვოს და მიიღოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ყველა სტატისტიკური და სხვა ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური).

საქსტატი ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წინაშე და ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს.

2015 წლის პირველ მაისს "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელთა თანახმად,

ოფიციალური სტატისტიკის წარმოება დაეყრდნო გაეროს 10 ფუნდამენტურ პრინციპს:

„ა) მნიშვნელოვნობა, ობიექტურობა, საყოველთაო ხელმისაწვდომობა – ოფიციალური სტატისტიკა არის დემოკრატიული საზოგადოების საინფორმაციო სისტემის აუცილებელი ელემენტი, რომელიც ხელისუფლების ორგანოებს, ეკონომიკის სუბიექტებსა და საზოგადოებას ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემებით უზრუნველყოფს. ამ მიზნით და მოქალაქეთა მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლები მიუკერძოებლად ამზადებენ და ავრცელებენ პრაქტიკული ღირებულების მქონე სტატისტიკურ მონაცემებს;

ბ) პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის დაცვა – ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობის შესანარჩუნებლად ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებმა სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და წარდგენის მეთოდებთან და პროცედურებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მხოლოდ პროფესიული მოსაზრებების შესაბამისად, მეცნიერული პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით უნდა მიიღონ;

გ) ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა – სტატისტიკური მონაცემების სწორი ინტერპრეტაციის ხელშეწყობისათვის ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებმა ინფორმაცია სტატისტიკურ წყაროებთან, მეთოდებთან და პროცედურებთან დაკავშირებული მეცნიერული სტანდარტების შესაბამისად უნდა წარადგინონ;

დ) სტატისტიკური მონაცემების მცდარი გამოყენების თავიდან აცილება – სტატისტიკური მონაცემების მცდარი ინტერპრეტაციის ან არასწორად გამოყენების შემთხვევაში ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებს აქვთ მათი განმარტების უფლება;

ე) სტატისტიკური წყაროს არსებობა – სტატისტიკური მიზნებისათვის მონაცემები შეიძლება შეგროვდეს ყველა სახის წყაროდან – სტატისტიკური გამოკვლევებიდან ან/და ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებული ინფორმაციიდან. სტატისტიკის მწარმოებელმა სტატისტიკური წყარო ხარისხის, დროულობის, დანახარჯებისა და რესპონდენტის დატვირთვის გათვალისწინებით უნდა შეარჩიოს;

ვ) კონფიდენციალურობა – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის გამოიყენება;

ზ) საკანონმდებლო ბაზის საჯაროობა – კანონმდებლობა, ნორმები და ზომები, რომელთა ფარგლებშიც ფუნქციონირებს ოფიციალური სტატისტიკის სისტემა, საჯაროა;

თ) ეროვნული კოორდინაცია – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებს შორის კოორდინაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის მდგრადობისა და ეფექტიანობის მისაღწევად;

ი) საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ საერთაშორისო ცნებების, კლასიფიკაციებისა და მეთოდების

გამოყენება ხელს უწყობს ოფიციალური სტატისტიკის სისტემების შეთანხმებულობასა და ეფექტიანობას;

კ) საერთაშორისო თანამშრომლობა – ოფიციალური სტატისტიკის სფეროში ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა ხელს უწყობს ოფიციალური სტატისტიკის სისტემების გაუმჯობესებას.“

დადგინდა (დაკონკრეტდა) პირთა წრე, რომლებზეც ვრცელდება კანონის მოქმედება, აგრეთვე განიმარტა ორი მნიშვნელოვანი ტერმინი - სტატისტიკური მეთოდოლოგია და ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემა. შეიცვალა საქსტატის საბჭოს და შესაბამისად საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის შერჩევის წესი. ცვლილების თანახმად, საქსტატის საბჭოს იმ წევრების შერჩევა, რომლებიც არ არიან საჯარო მოხელეები, მოხდება ღია კონკურსის წესით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ. საქართველოს პარლამენტის თანხმობის მისაღებად კანდიდატურების წარდგენის პროცედურა დარჩა უცვლელი. ევროსტატის მიერ საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის სისტემის 2013 წლის გლობალური შეფასებით გათვალისწინებული ერთ-ერთი რეკომენდაციის შესაბამისად ოფიციალური სტატისტიკის შესახებ კანონით დადგინდა საკონსულტაციო ორგანოს, მრჩეველთა საბჭოს შექმნა, რომელიც დაკომპლექტდება დარგის სპეციალისტებით და უხელმძღვანელებს აღმასრულებელი დირექტორი, თუ საქსტატის საბჭოს გადაწყვეტილებით მისი ხელმძღვანელობა საბჭოს სხვა წევრს არ დაეკისრება.

ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების ნაწილი ხელს შეუწყობს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის უკეთესად ორგანიზებას, და საბიუჯეტო სახსრების ოპტიმალურ გამოყენებას. ამ მიზნით, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მეთოდოლოგიის დამტკიცების უფლებამოსილება მიენიჭა მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიას, რომელიც აღწერის ჩატარების სავარაუდო თარიღამდე არაუგვიანეს 3 წლისა შეიქმნება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის სისტემის 2013 წლის გლობალური შეფასებით გათვალისწინებული რეკომენდაციის შედეგად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგინდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, რომლის თანახმად საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამის ფარგლებში ინფორმაციის წარუდგენლობისთვის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებულ პირებს დაეკისრებათ ადმინისტრაციული სანქცია - პირველ ჯერზე, გაფრთხილება, ხოლო განმეორების შემთხვევაში ფულადი ჯარიმა. სამართალდარღვევის ოქმის შედგენის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქსტატის საბჭო, ხოლო სანქციის დაკისრების საკითხს განიხილავს სასამართლო.

2015 წელს საქართველოს მთავრობას წარედგინა კიდევ ერთი საკანონმდებლო ცვლილების პროექტი, რომლის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღების შემთხვევაში, ნორმატიულად დადგინდება მოსახლეობის საყოველთაო აღწერის 10 წლიანი პერიოდულობა, გაეროს რეკომენდაციის შესაბამისად. დღეის მდგომარეობით კანონპროექტთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობს საკომიტეტო განხილვა.

ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო განრიგი

“ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” კანონის შესაბამისად, საქსტატთან ფუნქციონირებს საქსტატის საბჭო, რომელიც შედგება შვიდი წევრისა და საბჭოს თავმჯდომარისგან. საბჭოს სამი წევრი საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები არიან. მათ კანდიდატურებს საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენენ შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები. საბჭოს დანარჩენი ხუთი წევრი არ არის საჯარო მოსამსახურე. მათ თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პარლამენტის თანხმობით, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილი წესით. საბჭოს საქმიანობის წესი და პირობები განსაზღვრულია საქსტატის საბჭოს 2013 წლის 26 დეკემბრის №17 დადგენილებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს დებულებით”.

საქსტატის საბჭოს ფუნქციებია:

1. საქსტატისათვის სტატისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;
2. საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარდგენილი სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
3. საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარდგენილი საქსტატის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
4. სტატისტიკური საქმიანობისას გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის განხილვა, რეკომენდაციების მომზადება და დამტკიცება ან საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის აღიარება;
5. მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამასთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
6. საქსტატის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის განხილვა და დამტკიცება;
7. საქსტატის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
8. საბჭოს დებულების შემუშავება და დამტკიცება, რომლითაც უნდა განისაზღვროს საბჭოს მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები;
9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
10. „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ'' კანონითა და საბჭოს დებულებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

2015 წელს, საქსტატის ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხა განსაზღვრული იყო 221 საშტატო ერთეულით (170 საშტატო ერთეული ცენტრალურ აპარატში და 51 საშტატო ერთეული ტერიტორიულ ორგანოებში). აღმასრულებელ დირექტორს ჰყავს სამი მოადგილე.

საქსტატის სტრუქტურაში შედის 11 სამმართველო (ეროვნული ანგარიშების სამმართველო, საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველო, ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო, ფასების სტატისტიკის სამმართველო, სოციალური სტატისტიკის სამმართველო, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სტატისტიკის სამმართველო, მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველო, აღმასრულებელი დირექტორის აპარატი (სამმართველოს სტატუსით), შიდა აუდიტის სამმართველო, ადმინისტრაციული სამმართველო, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველო და 8 ტერიტორიული ორგანო – თბილისის სტატისტიკის ბიურო, თელავის სამმართველო, გორის სამმართველო, ქუთაისის სამმართველო, ბორჯომის სამმართველო, რუსთავის სამმართველო, ფოთის სამმართველო და ბათუმის სამმართველო **(იხილეთ დანართი 1)**.

საშტატო განრიგი წარმოდგენილია **დანართი 2** – ის სახით. ერთი თვის სახელფასო ფონდი შეადგენს 248 350 ლარს. მაქსიმალური ხელფასი 2950 ლარი, მინიმალური – 800 ლარი. საშუალო ხელფასი - 1123 ლარი.

სტატისტიკური კვლევების და მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩასატარებლად და საქსტატის სხვა ფუნქციების განხორციელების მიზნით 2015 წლის განმავლობაში აყვანილ შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 781 ერთეულს.

2015 წლის განმავლობაში საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში გამოცხადებული იყო კონკურსი შტატით გათვალისწინებული 33 ვაკანტურ თანამდებობაზე. გამოცხადებულ ვაკანტურ თანამდებობაზე განაცხადი შემოიტანა სულ 3732 კანდიდატმა. კონკურსის ბოლო ეტაპზე (გასაუბრებაზე) მოწვეული იყო სულ 155 კანდიდატი. კონკურსის შედეგად თანამდებობაზე დაინიშნა 29 კანდიდატი. 4 ვაკანსიაზე კონკურსი გამოცხადდა ჩაშლილად.

საქსტატის 2015 წლის ბიუჯეტი

საქსტატის დაფინანსების წყაროებს წარმოადგენს: სახელმწიფო ბიუჯეტი, გრანტები და შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან.

"საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 8 900 000 ლარი, გრანტებმა 573 397 ლარი შეადგინა, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა 162 746 ლარი, სულ წლიურმა შემოსავალმა **9 636 143 ლარი.**

საანგარიშო წლის განმავლობაში, "2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის და "საბიუჯეტო კოდექსის" შესაბამისად განხორციელდა დასაშვები ცვლილებები (გადანაწილება) საქსტატის ასიგნებებში, რის შედეგადაც დაზუსტებული გეგმა-ხარჯი ჩამოყალიბდა ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილების სახით.

2015 წლის საქსტატის ხარჯებმა სულ შეადგინა **9 074 868 ლარი,** მათ შორის: **საბიუჯეტო სახსრები – 8 662 455 ლარი**, **გრანტები –337 686 ლარი**, **საკუთარი სახსრების საკასო ხარჯი - 74 727 ლარი.**

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები ასე გამოიყურება:

- **შრომის ანაზღაურება** – **3 711 806** ლარი, (**მ.შ.** თანამდებობრივი სარგო - 2 758 206 ლარი, პრემია - 635 550 ლარი, დანამატი - 317 750 ლარი);
- **საქონელი და მომსახურება** – **5 185 473** ლარი, **მათ შორის**:
  შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 4 072 379 ლარი;
  მივლინება – 64 416 ლარი;
  ოფისის ხარჯი – 590 023 ლარი;
  წარმომადგენლობითი ხარჯი – 43 105 ლარი;
  სამედიცინო ხარჯი - 300 ლარი;
  რბილი ინვენტარი და უნიფორმა - 1 650 ლარი;
  ტრანსპორტის ექსპლუატაცია – 225 349 ლარი;
  სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება -188 251 ლარი;
- **სოციალური უზრუნველყოფა** - **96 355** ლარი;
- **სხვა ხარჯები** - **26 077** ლარი;
- **არაფინანსური აქტივების ზრდა** - **50 597** ლარი;
- **ვალდებულებების კლება** – **4 560** ლარი (ამ მუხლით გაცემულია 1998-2002 წლების სახელფასო დავალიანება 5 პირზე).

დაფინანსების წყაროების მიხედვით ბიუჯეტის შესრულება წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1. საქსტატის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულება - საბიუჯეტო ასიგნებები (ლარი)

კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა	ცვლილება	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	სხვაობა (5-6)	%
1	2	3	4	5	6	7	8
47 00	სსიპ-საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)	8,900,000	0.0	8,900,000	8,662,455	237,545	97
	მომუშავეთა რიცხოვნობა	221		221			
	ხარჯები	8,880,000	-36,000	8,844,000	8,607,298	236,702	97
	შრომის ანაზღაურება	3,525,000	175,000	3,700,000	3,699,606	394	100
	საქონელი და მომსახურება	5,300,000	-278,000	5,022,000	4,794,512	227,488	95
	სოციალური უზრუნველყოფა	40,000	64,000	104,000	96,355	7,645	93
	სხვა ხარჯები	15,000	3,000	18,000	16,825	1,175	93
	არაფინანსური აქტივების ზრდა	20,000	31,000	51,000	50,597	403	99
	ვალდებულებების კლება	0.0	5,000	5,000	4,560	440	91
47 01	სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა	4,600,000	345,000	4,945,000	4,897,021	47,979	99
	მომუშავეთა რიცხოვნობა	221		221			
	ხარჯები	4,580,000	309,000	4,889,000	4,841,864	47,136	99
	შრომის ანაზღაურება	3,525,000	175,000	3,700,000	3,699,606	394	100
	საქონელი და მომსახურება	1,000,000	81,000	1,081,000	1,036,101	44,899	96
	სოციალური უზრუნველყოფა	40,000	50,000	90,000	89,332	668	99
	სხვა ხარჯები	15,000	3,000	18,000	16,825	1,175	93
	არაფინანსური აქტივების ზრდა	20,000	31,000	51,000	50,597	403	99
	ვალდებულებების კლება		5,000	5,000	4,560	440	91
47 02	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა	1,900,000	0	1,900,000	1,787,133	112,867	94
	ხარჯები	1,900,000	0	1,900,000	1,787,133	112,867	94
	საქონელი და მომსახურება	1,900,000	-6,000	1,894,000	1,786,049	107,951	94
	სოციალური უზრუნველყოფა		6,000	6,000	1,084	4,916	18
47 03	მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა	2,400,000	-345,000	2,055,000	1,978,301	76,699	96
	ხარჯები	2,400,000	-345,000	2,055,000	1,978,301	76,699	96
	საქონელი და მომსახურება	2,400,000	-353,000	2,047,000	1,972,362	74,638	96

	სოციალური უზრუნველყოფა		8,000	8,000	5,939	2,061	0

1.1 სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (საბიუჯეტო ასიგნებები) 4701

სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვისა და მართვის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 4 600 000 ლარს, დაზუსტებული - 4 945 000 ლარს, შესრულებამ შეადგინა - 4 897 021 ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 99 %-ია.

კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა	ცვლილება	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	სხვაობა (5-6)	%
1	2	3	4	5	6	7	8
47 01	**სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა**	**4,600,000**	**345,000**	**4,945,000**	**4,897,021**	**47,979**	**99**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	221		221			
	ხარჯები	4,580,000	309,000	4,889,000	4,841,864	47,136	99
	შრომის ანაზღაურება	3,525,000	175,000	3,700,000	3,699,606	394	100
	საქონელი და მომსახურება	1,000,000	81,000	1,081,000	1,036,101	44,899	96
	სოციალური უზრუნველყოფა	40,000	50,000	90,000	89,332	668	99
	სხვა ხარჯები	15,000	3,000	18,000	16,825	1,175	93
	არაფინანსური აქტივების ზრდა	20,000	31,000	51,000	50,597	403	99
	ვალდებულებების კლება		5,000	5,000	4,560	440	91

ეკონომიამ შეადგინა - 47 979 ლარი.

განმარტება:

ეკონომია ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო შესყიდვების ტენდერების შედეგად მიღწეული ფასების კლებით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისი სტატისტიკური კვლევების და მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სამუშაოების დაგეგმვა, მართვა, წარმოება და გავრცელება; მეთოდოლოგიური და სტატისტიკური სტანდარტების შემუშავება; დასახული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფა.

1.2 სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (საბიუჯეტო ასიგნებები) 4702

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებულმა და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 900 000 ლარი, შესრულებამ შეადგინა 1 787 133 ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 94%-ია.

კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა	ცვლილება	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	სხვაობა (5-6)	%
1	2	3	4	5	6	7	8
47 02	**სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა**	**1,900,000**	**0**	**1,900,000**	**1,787,133**	**112,867**	**94**
	ხარჯები	1,900,000	0	1,900,000	1,787,133	112,867	94
	საქონელი და მომსახურება	1,900,000	-6,000	1,894,000	1,786,049	107,951	94
	სოციალური უზრუნველყოფა		6,000	6,000	1,084	4,916	18

ეკონომიამ შეადგინა - 112 867 ლარი

განმარტება:

2015 წლის 1 ივნისამდე მოქმედი კანონით, კვლევებში მონაწილეობა ადმინისტრაციული ორგანოების გარდა, კერძო სამართლის იურიდიული თუ ფიზიკური პირებისთვის სავალდებულო არ იყო. გამოკვლევების მიმდინარეობის პერიოდში რესპონდენტების ნაწილი უარს აცხადებდა კვლევებში მონაწილეობაზე, შესაბამისად გამოუპასუხებლობის შედეგად წარმოიქმნა ეკონომიები. გამოუპასუხებლობით მიღებული ეკონომია შეადგენს 107 951 ლარს, რაც დაზუსტებული გეგმის 5,6 %.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლში ეკონომია წარმოიშვა შრომისუუნარობის ფაქტობრივი შედეგების საფუძველზე.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა სტატისტიკური კველევების მომზადება, ჩატარება, მონაცემთა მოზიდვა, დამუშავება და გამოქვეყნება.

1.3 მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (საბიუჯეტო ასიგნებები) - 4703

მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 2 400 000 ლარს, დაზუსტებული - 2 055 000 ლარს, შესრულებამ შეადგინა 1 978 301, რაც დაზუსტებული გეგმის 96 %-ია.

კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა	ცვლილება	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	სხვაობა (5-6)	%
1	2	3	4	5	6	7	8
47 03	**მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა**	**2,400,000**	**-345,000**	**2,055,000**	**1,978,301**	**76,699**	**96**
	ხარჯები	2,400,000	-345,000	2,055,000	1,978,301	76,699	96
	საქონელი და მომსახურება	2,400,000	-353,000	2,047,000	1,972,362	74,638	96
	სოციალური უზრუნველყოფა		8,000	8,000	5,939	2,061	0

ეკონომიამ შეადგინა - 76 699 ლარი

განმარტება:

ეკონომია გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემთა კომპიუტერში შეყვანა განხორციელდა დაგეგმილზე უფრო შემჭიდროვებულ ვადებში. ასევე ეკონომია მივიღეთ სოციალური უზრუნველყოფის მუხლში, რაც წარმოიშვა შრომისუუნარობის ფაქტობრივი შედეგების საფუძველზე.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის წინასწარი შედეგების გამოქვეყნება, საველე სამუშაოებიდან მიღებული მონაცემების კომპიუტერში შეყვანა და მონაცემთა შემდგომი დამუშავება.

2. საქსტატის მიერ 2015 წელს მიღებული გრანტები

საქსტატის მიერ 2015 წელს დონორ ორგანიზაციებთან გაფორმდა სამი საგრანტო ხელშეკრულება. გრანტებისა და მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებულია 573 397 ლარი. ხარჯებმა შეადგინა 337 686 ლარი, ხოლო სხვაობა 235 711 ლარი წარმოადგენს დონორების მიერ 2015 წლის დეკემბრის ბოლოს ავანსად ჩარიცხულ თანხას, რომელიც გათვალისწინებულია 2016 წლის პირველი კვარტალის სამუშაოების დასაფინანსებლად.

N	გრანტის გამცემი	გრანტის/მიზნობრივი პროგრამის დასახელება	საგრანტო ხელშეკრულების ვადა	საგრანტო ხელშეკრულების ღირებულება	ხარჯი 2015 წელს (ლარი)
1	WB-IBRD-IDA (მსოფლიო ბანკი)	„საქართველოს მოსახლეობის აღწერასთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოები 2014“	01.09.2013-13.05.2015	250 000 აშშ დოლარი	61 629
2	International Labour Office - ILO	"საქართველოში ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევა"	15.07.2015-15.11.2016	369 235 ლარი	62 519
3	Asian Development Bank - ADB	"სატატისტ.პოტენციალის განვითარება სოციალური ჩართულობისა და გენდერული თანასწორობისთვის".	27.07.2015-30.06.2016	120 000 აშშ დოლარი	213 537

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები ასე გამოიყურება:

- **საქონელი და მომსახურება** – **337 686** ლარი, **მათ შორის**:
  შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 276 537 ლარი;
  მივლინება – 15 827 ლარი;
  ოფისის ხარჯი – 3 150 ლარი;
  წარმომადგენლობითი ხარჯი – 31 293 ლარი;
  სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება -10 879 ლარი;

მსოფლიო ბანკის გრანტის ფარგლებში განხორციელდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ქალაქ თბილისის მონაცემების კომპიუტერში შეყვანა და პროგრამული დამუშავება.

გაეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში ფინანსდება "საქართველოში ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევის" პროექტი.

აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ გამოყოფილი გრანტის მიზანია გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვება აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე.

3. საქსტატის მიერ 2015 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ხარჯები

2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთმა შეადგინა **15 134 ლარი**.

2015 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა **162 746** ლარი, მათ შორის:

1) საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში 2010 წლის 22 ნოემბრის №23 დადგენილების საფუძველზე დადგენილია სტატისტიკური მონაცემების გავრცელების საფასური. 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე საქსტატში შემოსულია **2605** ოფიციალური მოთხოვნა სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდების შესახებ. აქედან **674** წერილზე გაწეულ იქნა ფასიანი მომსახურება, **1 601** წერილზე გაიცა უფასო ინფორმაცია, **244** წერილი გაუქმდა განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო **85** წერილში მოთხოვნილ ინფორმაციას საქსტატი არ ფლობდა ან ის კონფიდენციალურ ინფორმაციას შეიცავდა.

აღნიშნულ პერიოდში ფასიანი ინფორმაციებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა - **69 266 ლარი**, რაც დარგობრივი სამმართველოების მიხედვით ასე გამოიყურება:

- საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა - 50 474 ლარი, 72.8 %
- ბიზნეს სტატისტიკა - 15 467 ლარი, 22.3 %
- ფასების სტატისტიკა - 2 173 ლარი, 3.3%
- სოციალური სტატისტიკა - 410 ლარი, 0.6%
- ეროვნული ანგარიშების სტატისტიკა-453 ლარი, 0.6%
- სოფლის მეურნეობის სტატისტიკა - 289 ლარი, 0.3 %.

2) გარდა ამისა, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში გაფორმდა ოთხი ხელშეკრულება კერძო სტატისტიკური კვლევის განხორციელების თაობაზე. მიღებულმა შემოსავლებმა სულ - **93 480** ლარი შეადგინა.

2015 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან საქსტატის მიერ გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა **74 727** ლარი. ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები ასე გამოიყურება:

- **შრომის ანაზღაურება** – **12 200** ლარი, (**მ.შ.** პრემია - 12200 ლარი);
- **საქონელი და მომსახურება** – **53 275** ლარი, **მათ შორის**:
  შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 49 265 ლარი;
  მივლინება – 120 ლარი;
  ოფისის ხარჯი – 3 890 ლარი;
- **სხვა ხარჯები (გადასახადები)** - **9 252** ლარი.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენს **103 153 ლარს.**

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

2014 წლის 5 ნოემბრიდან 19 ნოემბრის ჩათვლით საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩაატარა. მოსახლეობის საყოველთაო აღწერასთან ერთად ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო აღწერაც.
საყოველთაო აღწერა მოიცავდა საქართველოს მთელ ტერიტორიას, ოკუპირებული ტერიტორიების გარდა.

აღწერა, თავისი მასშტაბითა და შინაარსით, წარმოადგენს უნიკალურ საინფორმაციო წყაროს მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ. აღწერის შედეგად მიღებული იქნება უახლესი ინფორმაცია მოსახლეობის რიცხოვნობის, მათი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის, დასაქმების, განათლების, ჯანმრთელობისა და სხვა ინდიკატორების შესახებ.

იმის გამო, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო აქტიურობა და პროდუქციის წარმოება ძირითადად ხორციელდება შინამეურნეობების სექტორში და ამასთან ერთად, საქსტატი დაეყრდნო რა გაეროს 2010 წლის აღწერების რაუნდისათვის შემუშავებულ რეკომენდაციებს, დანახარჯებისა და ადამიანური რესურსების ოპტიმალურად გამოყენების მიზნით, მოსახლეობის აღწერასთან ერთად ჩაატარა (5-19 ნოემბრის პერიოდში) სასოფლო-სამეურნეო აღწერა და სოციალური და დემოგრაფიული სახის მონაცემებთან ერთად, სპეციალური კითხვარის მეშვეობით, შეაგროვა ინფორმაცია შინამეურნეობების სასოფლო-სამეურნეო აქტიურობის შესახებ. კითხვარის მეშვეობით მიღებულ იქნა მონაცემები შინამეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის სტრუქტურის, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის, გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესახებ და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მუნიციპალიტეტების, ტერიტორიული ერთეულების და სოფლების დონეზე.

ნოემბრის თვეში ამინდის შესაძლო გაუარესების გამო, საქსტატმა მესტიის, ყაზბეგის, დუშეთის (გუდამაყრის, ქვეშეთის, ხევსურეთის, უკანაფშავის, შატილის, მაღაროსკარის თემები) და ახმეტის (ომალოს თემი) მუნიციპალიტეტების მაღალმთიან დასახლებებში მოსახლეობის აღწერა განახორციელდა 2014 წლის 15-29 სექტემბერს.

სპეციალურად ამ მიზნისათვის მომზადებულმა 10 ათასამდე აღმწერმა მთელი ქვეყნის მასშტაბით შემოიარა მათ სამოქმედო ტეროტორიაზე არსებული ყველა საცხოვრისი და მათში მცხოვრები შინამეურნეობის ერთი ან რამდენიმე სრულწლოვანი წევრის გამოკითხვის გზით, მიიღეს ინფორმაცია შინამეურნეობისა და მის შემადგენლობაში მყოფი თითოეული წევრის შესახებ. ,,ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად, აღწერის შედეგად მოპოვებული ინდივიდუალური მონაცემები კონფიდენციალურია და არ ექვემდებარება გამჟღავნებას. რესპონდენტის შესახებ ინდივიდუალური მონაცემები ინახება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კანონის თანახმად საქართველოს ყველა მოქალაქე, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო აღწერაში.

2015 წლის განმავლობაში:

- კანონმდებლობის შესაბამისად, 2015 წლის აპრილში გამოქვეყნდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის წინასწარი შედეგები;
- მომზადდა აღწერის კომპიუტერული პროგრამა მონაცემთა ჩაწერის და ედიტირებისათვის;
- მომზადდა და დასაქმდა 300-მდე ოპერატორი აღწერის პირველადი მონაცემების ჩაწერისათვის, რომლებმაც დაასრულეს მონაცემთა ბაზის ფორმირება 2015 წლის სექტემბერში.
- მონაცემთა ბაზის ფორმირების დასრულებისთანავე დაიწყო ოპერატორების მიერ შეყვანილი მონაცემების კორექტირება და ლოგიკური კონტროლი სპეციალურად ამ მიზნისათვის დაქირავებული მუშაკების მიერ. აღნიშნული სამუშაოების დასრულების ვადა 2016 წლის აპრილით განისაზღვრა.

2015 წელს განხორციელებული ცვლილებები და სიახლეები

2015 წელს საქსტატში განხორციელებული ცვლილებების და სიახლეების წარმოდგენა შესაძლებელია რამდენიმე ძირითადი პრინციპის მიხედვით. კერძოდ:

- მომხმარებელთა მომსახურება, დიალოგი სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან და მონაცემების გავრცელება;
- ახალი პროდუქტები და ხარისხის გაუმჯობესება;
- სტატისტიკის წარმოების პროცესები და ხარისხის აუდიტი;
- საერთაშორისო თანამშრომლობა (იხ. შემდეგი თავი).

მომხმარებელთა მომსახურება, დიალოგი სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან და მონაცემების გავრცელება

საქსტატი სტატისტიკური ინფორმაციის გასავრცელებლად კომუნიკაციის რამდენიმე საშუალებას იყენებს:

- ვებ-გვერდი;
- მონაცემები PC–Axis-ის ფორმატში;
- სოციალური მედია – (Facebook და სხვა);
- სტატისტიკური მომსახურება – ელ. ფოსტა და ცხელი ხაზი;
- ანდროიდის ტიპის მობილური ტელეფონების აპლიკაცია;
- ვებ-გვერდის საშუალებით სტატისტიკური ინფორმაციის სიახლეების გამოწერის სერვისი;
- პუბლიკაციები;
- დოკუმენტირებული ანგარიშები;
- პრეს-რელიზები;
- პრესკონფერენციები და სხვა ღონისძიებები.

საქსტატის ვებ-გვერდზე განთავსებულია მეთოდოლოგიური განმარტებები ძირითადი სტატისტიკური მიმართულებებისათვის *(საქსტატის ძირითადი პროდუქტები და მეთოდოლოგია იხ. დანართი 3).*

საქსტატის ვებ-გვერზე განთავსებულია ბმულები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევროსტატისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მეთოდოლოგიებზე და სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებზე.

საქსტატის ახალი სერვისები 2015 წლისთვის:

- 2015 წლიდან საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელს მონაცემთა გავრცელების ახალი სისტემა შესთავაზა. სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელს საქსტატის საიტზე შეუძლია გამოიწეროს სიახლეები, რომელიც გამოქვეყნებისთანავე ელექტრონულად

მიეწოდება სასურველ მეილზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე. ინფორმაციის მისაღებად საჭიროა მომხმარებელი დარეგისტრირდეს საქსტატის ვებ-გვერდზე (www.geostat.ge) "გამოიწერეთ საიახლეები" ველში.

- 2015 წელს საქსტატმა შექმნა და საქსტატის ვებ-გვერდზე (www.geostat.ge) განათავსა სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის ონლაინ სისტემა. სისტემა მოქმედი საწარმოების მოძიების, საქმიანობის კლასიფიკატორის დაჯგუფების და მონაცემთა უფასოდ ჩამოტვირთვის შესაძლებლობას იძლევა. ნებისმიერ მომხმარებელს საშუალება ეძლევა სურვილისამაბერ სხვადასხვა ჭრილში მიიღოს ინფორმაცია ბიზნეს რეგისტრის შესახებ.

ვებ-გვერდზე ყოველკვარტალურად ქვეყნდება ინფორმაცია კვარტალის განმავლობაში გავრცელებული პუბლიკაციების, პრეს-რელიზების, შემოსულ მოთხოვნებზე გაცემული პასუხების და ვებ-გვერდზე შემოსულთა რაოდენობის შესახებ. 2015 წელს:

- მომზადდა 79 პუბლიკაცია;
- გავრცელდა 135 პრეს-რელიზი;
- საქსტატიდან წერილობით გასულია 2275 ერთეული სტატისტიკური ინფორმაცია, რაც 10%-ით მეტია 2014 წელთან შედარებით;
- საქსტატის ვებ-გვერდით ისარგებლა 428 707 მომხმარებელმა, რაც 21%-ით მეტია 2014 წელთან შედარებით.
- 2015 წელს საქსტატმა გამოსცა და გაავრცელა 4 კვარტალური და 18 წლიური პუბლიკაცია.

გასული წლების მსგავსად, 2015 წელსაც უწყება სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან აქტიურად თანამშრომლობდა. მთელი წლის მანძილზე საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან პერიოდულად იმართებოდა შეხვედრები. ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში საქსტატს სტუდნტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები, ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენლები და სკოლის მოსწავლეები სტუმრობდნენ. ჩატარდა სემინარი ენერგეტიკის სტატისტიკის საკითხებზე. მოეწყო პუბლიკაცია - ,,ქალი და კაცი საქართველოში 2015“ და სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის ონლაინ საძიებო სისტემის პრეზენტაცია. საქსტატმა "შრომითი ბაზრის სტატისტიკასთან" დაკავშირებით საერთაშორისო კონფერენციასაც უმასპინძლა. უწყების მიერ აღინიშნა ქართული სტატისტიკის დღე. სამუშაო შეხვედრები გაიმართა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ხარისხის მართვა, გენდერული სტატისტიკა, სოფლის მეურნეობის სტატისტიკის სტრატეგიული გეგმის შემუშავება და სხვა. რეგულარულად მიმდინარეობდა შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

სტატისტიკური საქმიანობის უკეთ კოორდინირებისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით მემორანდუმები გაფორმდა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან, ქალაქ თბილისის მერიასთან, სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოსთან, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატასთან, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან და უმაღლეს სასწავლებლებთან.

მონაცემთა გავრცელების ვადები შემცირდა შემდეგი მიმართულებით:

- საგარეო ვაჭრობის მონაცემები ექსპრეს მონაცემები გამოქვეყნდა საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-13 დღეს ნაცვლად მე-16 დღისა, ხოლო დეტალური მონაცემები 21-ე დღეს ნაცვლად 24-ე დღისა;
- კულტურის სტატისტიკის მაჩვენებლები გამოქვეყნდა ერთი თვით ადრე წინა წელთან შედარებით.

ახალი პროდუქტები და ხარისხის გაუმჯობესება:

გამოკვლევის თანამედროვე მეთოდების დანერგვა და ხარისხის გაუმჯობესება საქსტატის მუდმივ და მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

2015 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა შექმნა ახალი პროდუქტები:

- მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება მუდმივ 2010 წლის ფასებში დანახარჯების მეთოდით.
- არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი.
- სამაცივრე, სასაკლაო მეურნეობებისა და ელევატორების გამოკვლევა.
- სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის ონლაინ სისტემა.
- ექსპორტის ფასების ინდექსის გაანგარიშება.

დაემატა ახალი ინდიკატორები შემდეგ კვლევებში:

- მოხდა კითხვარების "მონაცემები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის შესახებ" და "მონაცემები დოქტორანტების მომზადების შესახებ" სრულყოფა, დაემატა ახალი ინდიკატორები (მონაცემები უცხოელი სტუდენტების, ადგილობრივი სტუდენტების უცხოეთში გაგზავნის, ადგილობრივი და უცხოელი დოქტორანტების სქესობრივ-ასაკობრივი მახასიათებლების შესახებ. და სხვ.);

კვლევების მეთოდების დახვეწისა და ხარისხის გაუმჯობესება:

- შეიცვალა სტატისტიკური კვლევების შერჩევის დიზაინი სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სტატისტიკის კვლევებში.
- გაიზარდა სტატისტიკური კვლევების შერჩევის ზომა ბიზნეს სტატისიკისა და მწარმოებელთა ფასების ინდექსის კვლევებში.
- გაიზარდა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკურ გამოკვლევაში გამოსაკვლევ საწარმოთა რაოდენობა.
- ჩატარდა სამუშაო პროცესები ხარისხის შეფასება.

სტატისტიკის წარმოების პროცესების ხარისხის შეფასება

- მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის განყოფილების მიერ საქსტატის დარგობრივ სამმართველოებში ჩატარდა სამუშაო პროცესების ხარისხის შეფასება, რომელმაც მოიცვა სამუშაო პროცესების ყველა ეტაპი. ხარისხის შეფასება ფოკუსირებული იყო პროცესების ხარისხის ასპექტებსა და რისკებზე და მიზნად არ ისახავდა გამოყენებული მეთოდოლოგიების სიღრმისეულ შეფასებას. ჩატარებული სამუშაოს შედეგად მომზადდა ხარისხის შეფასების 29 მოხსენება, რომლებშიც დეტალურად არის აღწერილი სამუშაო პროცესებისა და სტატისტიკური პროდუქტების ხარისხთან დაკავშირებული რისკები და ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები მათი თავიდან აცილების მიზნით.
- ხარისხის შეფასების რეკომენდაციების საფუძველზე, სამმართველოებში დაიწყო ყველა არსებული პროცესის სტანდარტული დოკუმენტირება. რეკომენდაციებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შემუშავდა სტატისტიკური წარმოების პროცესის აღწერის სტანდარტული ფორმა. დოკუმენტაცია მოიცავს სამუშო პროცესების დეტალურ აღწერას კვლევების ყველა ეტაპზე – მათი დაგეგმვიდან მონაცემების გავრეცელებამდე. დოკუმენტაცია, გარდა ძირითადი დოკუმენტებისა, შეიცავს დანართებსაც, სადაც დეტალურად არის აღწერილი სხვადასხვა პროგრამების გამოყენების წესები, მეთოდოლოგია, ტერმინოლოგია, გასავრცელებელი მონაცემები და ა.შ. სამუშაოს შემდგომ ეტაპს წარმოადგენს ერთიანი სტანდარტის შესაბამისად მეტამონაცემების მომზადება.

2015 წელს საქსტატში განხორციელებული ცვლილებები ცალკეული სამმართველოების მიხედვით შემდეგია:

ეროვნული ანგარიშების სამმართველო

ეროვნული ანგარიშების საერთაშორისო მეთოდოლოგიის SNA 2008 დანერგვის მიზნით მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები, რომლის შედეგად განხორციელდა:

1. მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება მუდმივ 2010 წლის ფასებში დანახარჯების მეთოდით;
2. მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება მუდმივ 2010 წლის ფასებში წარმოების მეთოდით;
3. ექსპერიმენტული სექტორული ანგარიშების ფორმირება ფინანსური კორპორაციებისა და შინამეურნეობების სექტორებისათვის;
4. ეროვნული ანგარიშების წარმოების დეტალური მეთოდოლოგიური განმარტებების შემუშავების სამუშაოები.

მიმდინარეობდა თანამშრომლობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა საერთაშორისო ექსპერტის ორკვირიანი ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ეროვნული ანგარიშების სხვადასხვა საკითხების განხილვა და გაკეთდა შესაბამისი რეკომენდაციები, რამაც

მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებას მუდმივ ფასებში დანახარჯების მეთოდით.

მიმდინარეობდა და კვლავ გაგრძელდება ფინანსთა სამინისტროსთან ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება. კერძოდ, ეროვნული ანგარიშების სამმართველოში მიმდინარეობს დამატებული ღირებულების გადამხდელთა ბრუნვების შესახებ ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი სექტორულ ჭრილში. ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა სტატისტიკური და საგადასახადო დეკლარირების ხარისხის შედარება, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასებების წარმოება. დამატებული ღირებულების გადამხდელთა ბრუნვების შესახებ ინფორმაცია საფუძვლად უდევს ყოველთვიური ეკონომიკური ზრდის ტენდენციების გაანგარიშებას.

განხორციელდა 2014 წლის შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების დეტალური სტრუქტურის გაანგარიშება, რომლის საფუძველზეც მოხდა სამომხმარებლო კალათაში შემავალი პროდუქტების წონების განახლება.

მომზადდა პუბლიკაცია "საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2014".

ფასების სტატისტიკის სამმართველო

სამომხმარებლო ფასების ინდექსი

- განხორციელდა სამომხმარებლო კალათის წონების განახლება. სამომხმარებლო კალათა შედგება 295 დასახელების საქონლის და მომსახურებისგან, რომელიც შედგენილია ეროვნული ანგარიშებისა და შინამეურნეობების კვლევებიდან მიღებული მოხმარების სტრუქტურის მიხედვით. ასევე, მოხდა ობიექტების ბაზის განახლება, რის შემდეგაც განხორციელდა ბაზრის გამოკვლევა და სპეციფიკაციების დაზუსტება;
- წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ურთიერთთანამშრომლობა და აზრთა გაზიარება საერთაშორისო ექსპერტებთან სამომხმარებლო ფასების ინდექსის მეთოდოლოგიის გაუმჯობესების მიზნით;

მწარმოებელთა და იმპორტის ფასების ინდექსები

- შვედეთის სტატისტიკასთან თანამშრომლობის ფარგლებში საქსტატში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ექსპერტი მწარმოებელთა ფასების ინდექსის მეთოდოლოგიის გაუმჯობესების მიზნით. განხორციელდა საწარმოების განახლებული ბაზის შერჩევა და წონების გაანგარიშება სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა, სატვირთო გადაზიდვების, მშენებლობისთვის შეძენილი მასალებისა, ექსპორტის და იმპორტის ფასების ინდექსებისთვის.

მშენებლობის ფასების ინდექსის და საცდელი გაანგარიშება

2015 წლის განმავლობაში ჩატარდა მშენებლობის ფასების ინდექსების საცდელი გაანგარიშების მოსამზადებელი სამუშაოები.

საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველო

- განახლდა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევისათვის შერჩეულ საწარმოთა ნუსხა ბიზნეს რეგისტრის ინფორმაციის საფუძველზე;
- განახლდა და დაიხვეწა ელექტრონული კითხვარების მონაცემთა ლოგიკური და არითმეტიკული კონტროლის ერთიანი სისტემა;
- აქტიურად მიმდინარეობდა ურთიერთთანამშრომლობა ენერგეტიკის სამინისტროსთან ენერგეტიკის სფეროს საწარმოთა მიერ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევის კითხვარების სრულყოფილად შევსების, მათი მხრიდან გამოპასუხების გაზრდისა და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის მნიშვნელობისა და აქტუალობის გაცნობის მიმართულებით;
- მიმდინარეობდა მუშაობა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა დამუშავების სპეციალური პროგრამის შექმნაზე;
- განახლდა რეპორტინგის სისტემა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ დამატებითი რეპორტებით;
- მომზადდა პუბლიკაცია "საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2014".

ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო

- გაუმჯობესდა ბიზნეს რეგისტრის აქტუალიზაციის სისტემა;
- საქსტატის ვებ-გვერდზე განთავსდა სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის ონლაინ სისტემა.
- ჩამოყალიბდა ახალი გენერალური ერთობლიობა და გაუმჯობესდა საწარმოთა მოცვის ხარისხი;
- გაუმჯობესდა ბიზნეს სტატისტიკის გამოკვლევის შერჩევის მეთოდოლოგია;
- ბიზნეს სტატისტიკის გამოკვლევის ინტერვიუერებს ყველა რეგიონში ჩაუტარდათ ტრეინინგები;
- სამმართველოს თანამშრომლებმა გაიარეს ტრეინინგი სხვადასხვა სფეროში (შერჩევის მეთოდოლოგია, ბიზნეს რეგისტრი, ენერგეტიკის სტატისტიკა)
- ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესაბამისად, განხორციელდა არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი. გამოკვლევის შედეგები გამოყენებულ იქნა ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების გაანგარიშების თვალსაზრისით.
- მომზადდა სტატისტიკური პუბლიკაცია "საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი"
- გაიზარდა საწარმოთა წლიური გამოკვლევის შერჩევის მოცულობა, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა ბიზნეს სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლების წარმოება მუნიციპალიტეტების მიხედვით;
- განხორციელდა სამაცივრე, სასაკლაო მეურნეობებისა და ელევატორების პილოტური გამოკვლევა.
- ევროსტატის ექსპერტების მიერ განხორციელდა ბიზნეს სტატისტიკის სექტორული მიმოხილვა, რომლის მიზანი იყო რეკომენდაციების შემუშავება და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.
- მომზადდა პუბლიკაცია "მეწარმეობა საქართველოში, 2015".

სოციალური სტატისტიკის სამმართველო

- დაიწყო ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევა. 2015 წელს განხორციელდა კვლევის შემდეგი აქტივობები:

- ჩამოყალიბდა კვლევის ტექნიკური კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტდა აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით;
- შემუშავდა კვლევის მეთოდოლოგია, კითხვარები და კითხვარების შევსების ინსტრუქცია;
- კვლევის ინტერვიუერებსა და ზედამხედველებს ჩაუტარდათ ტრეინინგები და განხორციელდა საველე სამუშაოები;
- შეიქმნა საველე სამუშაოების შედეგად მოზიდული მასალის კომპიუტერში ჩაწერისა და მონაცემთა ლოგიკური კონტროლების პროგრამა.

კვლევა ემყარება გაერო-ს შესაბამის კონვენციებს ბავშვთა შრომის აღმოფხვრის შესახებ და მიზნად ისახავს ბავშვთა ეკონომიკურ/არაეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულობის დადგენას. კვლევამ მოიცვა დაახლოებით 7700 შინამეურნეობა, რომელშიც ცხოვრობს 5-17 წლის ბავშვი. კვლევის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 2016 წლის მესამე კვარტალში.

- დაიწყო "გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვება აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე" პილოტური კვლევა. 2015 წელს განხორციელდა კვლევის შემდეგი აქტივობები:

- შემუშავდა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი;
- განხორციელდა კვლევის საველე სამუშაოები;
- განხორციელდა მონაცემთა ბაზის ფორმირება;
- განხორციელდა მონაცემთა კომპიუტერში ჩაწერა და ლოგიკური კონტროლები.

კვლევა ჩატარდა 2783 შინამეურნეობაში. კვლევა მოიცავს ინფორმაციას, განცხადებული, ოფიციალური და ეკონომიკური საკუთრების შესახებ, შინამეურნეობის საკუთრებაში არსებულ ისეთ აქტივებთან მიმართებაში, როგორიცაა: საცხოვრისი, სასოფლო-სამეურნეო მიწა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები და სხვა. კვლევის სხვადასხვა ეტაპზე მიღებული გამოცდილება და შედეგები გამოყენებული იქნება:

- საერთაშორისო მეთოდოლოგიის შემუშავებისთვის ამჟამად არსებული მეთოლოგიური საკითხების დასახვეწად;
- კვლევის საგანთან მიმართებაში ქვეყანაში არსებული სიტუაციის შეფასებისთვის გენდერულ ჭრილში.

კვლევის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 2016 წლის მეორე ნახევარში.

შინამეურნეობათა გამოკვლევების განყოფილება

- დაიწყო და 2016 წელსაც გაგრძელდება სამუშაოები მონაცემთა ბაზაში ჩადებული ლოგიკური კონტროლების ოპტიმიზაციის კუთხით, მატერიალური და ტექნიკური რესურსების სრულყოფის და კონტროლებში არსებული უზუსტობების აღმოფხვრის მიზნით;

- დაიწყო და 2016 წელსაც გაგრძელდება მეთოდოლოგიური სამუშაოები, 2017 წლისთვის დაგეგმილი შინამურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის შერჩევის დიზაინისა და კითხვარის ცვლილებასთან დაკავშირებით. ამასთან, შერჩევის დიზაინის გადახედვის მიზნით, განხორციელდა სამუშაო შეხვედრები საერთაშორისო ექსპერტთან;
- დაიწყო და 2016 წელსაც გაგრძელდება სამუშაოები შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის არსებული მონაცემების (შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები) ანალიზისა და სანდოობის შეფასების მიმართულებით, რათა შეძლებისდაგვარად დეტალური და მრავალფეროვანი მონაცემების გავრცელება გახდეს შესაძლებელი;
- განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები 2016 წელს განსახორციელებელი „საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების კვლევა შინამეურნეობებში“ კვლევისათვის. კერძოდ, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, შემუშავდა კვლევის კითხვარი ქართულ ენაზე და განისაზღვრა გარკვეული მეთოლოგიური საკითხები.

<u>შრომის სტატისტიკის განყოფილება</u>

- მიმდინარეობდა და 2016 წელსაც გაგრძელდება თანამშრომლობა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, “შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების კონცეფციის” და “საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის” რეალიზაციის 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმასთან და მის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- განახლდა შრომის სტატისტიკური გამოკვლევის არასახელმწიფო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (ააიპ) შერჩევა;
- მომზადდა 2014 წლის შრომის სტატისტიკის მონაცემები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ვებ-გვერდზე განსათავსებლად;
- დასაქმებისა და უმუშევრობის კვარტალური მაჩვენებლების წარმოების, შრომის სტატისტიკის ინდიკატორების სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით, დაიწყო და 2016 წელსაც გაგრძელდება მოსამზადებელი სამუშაოები 2017 წლიდან შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან სამუშაო ძალის გამოკვლევის გამოყოფის და დამოუკიდებელი, რეგულარული, სრულმასშტაბიანი სამუშაო ძალის გამოკვლევის დანერგვის მიზნით;
- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივით ჩატარდა ტრეინინგები, ბეჭვდითი მედიის, ონლაინ მედიის და ტელე-რადიო მაუწყებლობის ჟურნალისტთათვის, შრომისა და დასაქმების თემებზე ცნობიერების ამაღლების და შრომის ბაზრის ძირითადი თავისებურებებისა და მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით. საქსტატის წარმომადგენლებმა მედიის წარმომადგენლებს გააცნეს შრომის ბაზრის სტატისტიკის ინფორმაციის წყაროები, გამოყენებული კვლევების მეთოდოლოგია, მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდი და სხვა.
-

სოციალური ინფრასტრუქტურის განყოფილება

- მომზადდა სტატისტიკური კრებული „ქალი და კაცი საქართველოში 2015“, ქართულ და ინგლისურ ენებზე.
- გენდერული სტატისტიკის დამატებით, ახალი ინდიკატორების მოძიებისა და გენდერული სტატისტიკის პუბლიკაციის სრულყოფის მიზნით განხორციელდა 3 თანამშრომლის ტრეინინგი შვედეთის სტატისტიკის ბიუროს ექსპერტების მიერ.

ტურიზმის კვლევების განყოფილება

- დაიხვეწა ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის კვლევის მეთოდოლოგია:
  - მოხდა კითხვარების ოპტიმიზაცია - შესაბამისი ცვლილებები შევიდა თითოეულ კითხვარში;
  - შეიცვალა და დაიხვეწა შერჩევის მეთოდი.
- დაიხვეწა უცხოელ ვიზიტორთა კვლევის მეთოდოლოგია და მოხდა კითხვარის ოპტიმიზაცია.
- ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის კვლევის კითხვარებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ცვლილებები შევიდა მონაცემთა კომპიუტერში ჩაწერის პროგრამაში.
- უცხოელ ვიზიტორთა კვლევის კითხვარებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ცვლილებები შევიდა მონაცემთა კომპიუტერში ჩაწერის პროგრამაში.
- ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის და უცხოელ ვიზიტორთა კვლევების დიზაინის, შერჩევის, შეწონვისა და იმპუტაციის მეთოდოლოგიის გადახედვის მიზნით, განხორციელდა სამუშაო შეხვედრები საერთაშორისო ექსპერტებთან;
- დაიხვეწა ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის და უცხოელ ვიზიტორთა კვლევების მონაცემთა კომპიუტერში ჩაწერისა და მასში ჩადებული ლოგიკური კონტროლების სისტემა.

მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველო

- განხორციელდა 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემთა კომპიუტერში შეყვანა (დასრულდა 2015 წლის სექტემბერში).
- დაიწყო 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემთა ელექტრონული დამუშავება.
- მომზადდა 2014 წლის დემოგრაფიული მაჩვენებლები (დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება, განქორწინება, მოსახლეობის რიცხოვნობა, სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა, მიგრაციული სალდო და სხვა).
- დაიწყო წინა წლების დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშების სამუშაოები, მზადდება გადაანგარიშების მეთოდოლოგია.
- მომზადდა სტატისტიკური კრებული “დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2015”.

სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველო

- FAO-ს ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით, მომზადდა საქართველოს სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკის სტრატეგიული გეგმა 2016-2020 (SPAERS).
- მომზადდა 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემთა დამუშავების ინსტრუქცია და დაიწყო აღწერის მონაცემების დამუშავება;
- 2014 წელს ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო აღწერის ანალიზისათვის, 2014 წლის სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის დასკვნითი გამოკითხვის კითხვარს დაემატა ერთჯერადი დანართი, შეგროვდა მონაცემები და განხორციელდა მონაცემების კომპიუტერში შეყვანა;
- იურიდიული პირების, მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების სასოფლო-სამეურნეო აღწერებისათვის მომზადდა ონლაინ (და ნაბეჭდი) კითხვარები და შევსების ინსტრუქცია. ჩატარდა იურიდიული პირების, მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების სასოფლო-სამეურნეო აღწერა და დაიწყო მონაცემების დამუშავება, ასევე მიმდინარეობდა მუშაობა გამომავალი ცხრილების პროგრამაზე;
- 2014 წელს ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო აღწერის, 2015 წელს ჩატარებული იურიდიული პირების სასოფლო სამეურნეო აღწერის მონაცემთა ბაზებისა და სხვა წყაროების საფუძველზე სრულად განახლდა სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის შერჩევის ბაზა. FAO-ს დახმარებით მომზადდა შერჩევის ახალი როტაციული დიზაინი შერჩევის 12 000-იანი ზომისათვის. შეირჩა და სრულად დატრენინგდა საველე პერსონალი;
- FAO-ს დახმარებით, დაიწყო მუშაობა სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის ხარვეზების იდენტიფიკაციასა და დახვეწაზე;
- მომზადდა სასოფლო მეურნეობათა შერჩევით გამოკვლევის პროცესის აღწერის დეტალური დოკუმენტი;
- დაიწყო თანამშრომლობა პოლონეთის სტატისტიკის ცენტრალურ სამსახურთან და შვედეთის სტატისტიკასთან გარემოს სტატისტიკის მიმართულებით;
- მომზადდა პუბლიკაციები "საქართველოს სოფლის მეურნეობა 2014" და "საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა 2014", ქართული და ინგლისური ვერსიები.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველო

- შეიქმნა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის კითხვარების ედიტირების პროგრამა, შემუშავდა რეპორტინგის სისტემა ;
- შეიქმნა იურიდიული პირების სასოფლო-სამეურნეო აღწერის პროგრამა;
- შეიქმნა სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის ონლაინ ვერსია;
- დაიწყო მუშაობა ინფორმაციული უსაფრთხოების დანერგვაზე.

სტატისტიკური გამოკვლევების მონიტორინგი

შიდა აუდიტის სამმართველოს საქმიანობა განხორციელდა შიდა აუდიტის სტანდარტების, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის, შიდა აუდიტის სუბიექტის დებულების, საქართველოს კანონმდებლობისა და ძირითადი პრინციპების დაცვით. 2015 წელს, მსგავსად წინა წლებისა, საქსტატში გაგრძელდა აქტიური შიდა აუდიტორული საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავდა თანამშრომლების (მათ შორის-ინტერვიუერების) მუშაობის ხარისხის შემოწმებას. გაწეული მუშაობის შედეგები საშუალებას იძლევა შეფასდეს როგორც თანამშრომელთა, ასევე გამოკვლევათა ინტერვიუერების მიერ შესრულებული საველე სამუშაოების ხარისხი, საჭიროების შემთხვევაში კი გადახალისდეს ინტერვიუერთა ქსელი. 2015 წლის პერიოდში საქსტატის შიდა აუდიტის სამმართველომ სამუშაოები განახორციელა 2 ძირითადი მიმართულებით. კერძოდ:

- საქსტატის მიერ წარმოებული გამოკვლევების საველე სამუშაოების მონიტორინგი;
- საქსტატის სტრუქტურული ერთეულების შიდა აუდიტორული შემოწმება.

2015 წელს საქსტატის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში აუდიტორული შემოწმება განხორციელდა შემდეგი ძირითადი მიმართულებით:

- საქსტატის ბიუჯეტით გაწერილი სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში განხორციელებული კვლევების საველე სამუშაოების მონიტორინგი;
- სტატისტიკური სამუშაოების 2015 წლის პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების შესრულება და მათი შესაბამისობა სტატისტიკურ სამუშაოთა 2015 წლის კალენდართან;
- გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

შიდა აუდიტორულმა შემოწმებამ მოიცვა „შიდა აუდიტის 2015 წლის სამოქმედო გეგმით“ გაწერილი შემდეგი სამმართველოები: ეროვნული ანგარიშების სამმართველო, სოციალური სტატისტიკის სამმართველო, სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველო, ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო.

ასევე განხორციელდა არა გეგმიური შემოწმებები შემდეგ სამმართველოებში: ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო, სოციალური სტატისტიკის სამმართველო.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ზემოაღნიშნული სამმართველოების შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად მნიშვნელოვანი დარღვევები არ გამოვლენილა.

საერთაშორისო თანამშრომლობა

საქსტატი ყველა ძირითად სტატისტიკურ გამოკვლევაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო მეთოდოლოგიით. იმისთვის რომ სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკური მონაცემები იყოს ურთიერთშედარებადი, აუცილებელია ყველა ქვეყანა ერთი მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობდეს. საერთაშორისო მეთოდოლოგიები ძირითადად დგინდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (ევროსტატი, გაერო, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და სხვა). ამიტომ, "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქსტატი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ცალკეული ქვეყნების სტატისტიკის სამსახურებთან. 2015 წელი, ისევე როგორც გასული წლები საკმაოდ წარმატებული იყო საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებითაც. სტატისტიკის დეპარტამენტი წარსულშიც იღებდა საკმაოდ დიდ ფინანსურ თუ ტექნიკურ დახმარებას, მაგრამ საქსტატის დამოუკიდებელ სამსახურად ჩამოყალიბებამ კიდევ უფრო აქტიური გახადა ეს პროცესი. გააქტიურდა თანამშრომლობა როგორც დონორ ორგანიზაციებთან, ისე ორმხრივი თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკურ სამსახურებთან. გამოვყოფთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნების სტატისტიკურ სამსახურებთან თანამშრომლობის რამდენიმე მნიშვნელოვან აქტივობას:

ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა პუნქტი განხორციელდა.

- 2015 წლის აპრილში გამოქვეყნდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის წინასწარი შედეგები (სოფლის მეურნეობის კომპონენტის ჩათვლით). საბოლოო შედეგები ხელმისაწვდომი იქნება 2016 წლის აპრილში.
- საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონის ცვლილებები. (ცვლილებები ძალაშია 2015 წლის 1 ივნისიდან).
- მონაცემთა გავრცელების თანამედროვე მეთოდების დანერგვა/გაუმჯობესების მხრივ 2015 წელს საქსტატმა სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების ახალი სისტემა შესთავაზა. კერძოდ: სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელს საქსტატის საიტზე შეუძლია გამოიწეროს სიახლეები, რომელიც გამოქვეყნებისთანავე ელექტრონულად მიეწოდება სასურველ მეილზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე.
- დასრულდა სპეციალური საბაჟო დეკლარაციის მონაცემების ხარისხობრივი კონტროლი და დამუშავება. ინფორმაცია აისახა საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემებში (2015 წლის 21 იანვარი), განახლდა 2011 - 2014 წლების

იმპორტის მონაცემთა ბაზა, რაც გათვალისწინებული იყო სამოქმედო გეგმის მეხუთე პუნქტით - საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის სფეროს შემდგომი გაუმჯობესება.

- 2015 წლის ოქტომბერში თბილისში ჩატარდა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-2 პლატფორმის, "ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობა", აღმოსავლეთ პარტნიორობის სტატისტიკის პანელის მეორე შეხვედრა "შრომითი ბაზრის სტატისტიკაზე“, სადაც განხილულ იქნა სამუშაო ძალის გამოკვლევა, ვაკანსიების სტატისტიკა, სამუშაო ძალაზე გაწეული დანახარჯების სტატისტიკა და სხვა საკითხები, რომელიც დაკავშირებულია შრომის ბაზართან. კონფერენციის მიზანი იყო შრომის ბაზრის სტატისტიკის დახვეწა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში და მისი დაახლოება ევროსტანდარტებთან.
- 2015 წელს დასრულდა საქსტატის და შვედეთის სტატისტიკის თანამშრომლობის პროექტის პირველი ფაზა და დაიგეგმა და ხელი მოეწერა პროექტის მეორე ფაზას, რომელიც გაგრძელდება 2018 წლის 1 ივლისამდე. პროექტის ფარგლებში 2015 წელს განხორციელდა შვედეთის სტატისტიკის ექსპერტების საქსტატში 14 მისია და საქსტატის თანამშრომლების 2 სასწავლო ვიზიტი შვედეთში. სასწავლო ვიზიტები განხორციელდა შემდეგი თემატიკის მიხედვით: გარემოს დაცვის სტატისტიკა (სასწავლო ვიზიტში მონაწილეობა მიიღო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ორმა თანამშრომელმა), საქსტატის თანამშრომლები დაესწრნენ ორებროს უნივერსიტეტში ორგანიზებულ საზაფხულო სკოლის ტრენინგს სტატისტიკური კვლევის შესახებ. მთლიანად, მივლინებებში მონაწილეობა მიიღო საქსტატის ექვსმა თანამშრომელმა. საქსტატში შვედეთის სტატისტიკის ექსპერტების მისიები განხორციელდა შემდეგ სფეროებში: ბიზნეს სტატისტიკა, სტატისტიკური პროდუქტის ხარისხის მართვა, ფასების სტატისტიკა, ბიზნეს რეგისტრი, ეროვნული ანგარიშები, და გენდერის სტატისტიკა. პროექტის ფარგლებში 2015 წელს მომზადდა პუბლიკაცია "ქალი და კაცი საქართველოში", რომლის განახლებული დიზაინის შემუშავება და საჯარო პრეზენტაცია პროექტის ფარგლებში შედგა. პროექტი მთლიანად დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ.
- 2015 წელს განხორციელდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტის ორკვირიანი ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ეროვნული ანგარიშების სხვადასხვა საკითხების განხილვა და გაკეთდა შესაბამისი რეკომენდაციები, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებას მუდმივ ფასებში დანახარჯების მეთოდით.
- FAO-ს ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით, მომზადდა საქართველოს სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკის სტრატეგული გეგმა 2016-2020 (SPAERS).
- 2015 წელს მიმდინარეობდა ინტენსიური თანამშრომლობა USDA-სა და FAO-სთან სასოფლო-სამეურნეო აღწერის, იურიდიული პირების, მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების სასოფლო-სამეურნეო აღწერების მონაცემთა დამუშავების, შედეგების ანალიზის და გამოსაქვეყნებლად მომზადების მიმართულებით.
- 2015 წელს მიმდინარეობდა თანამშრომლობა პოლონეთის სტატისტიკის სამსახურთან გარემოსდაცვითი სტატისტიკური სისტემის სტრუქტურის

განვითარების მიზნით. პროექტის ფარგლებში, 2015 წლის სექტემბერში შედგა საქსტატის თანამშრომლების სასწავლო ვიზიტი პოლონეთში, რომელიც მიზნად ისახავდა გარემოს სტატისტიკის წარმოების ხარისხის ამაღლებას, გარემოს დაცვითი სტატისტიკური სისტემის სტრუქტურის (მათ შორის ფორმალური და სამართლებრივი საფუძვლები და გარემოსდაცვითი მონაცემების წყაროები)გაცნობას, ურთიერთობას ევროსტატთან, ევროპულ გარემოსდაცვით სააგენტოსთან, OECD-თან და საერთაშორისო მონაცემთა ბაზებთან.

- პოლონეთის სტატისტიკის სამსახურთან თანამშრომლობის კუთხით ასევე აღსანიშნავია აქტივობა საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულებით. 2015 წლის სექტემბერს საქსტატს პოლონეთის სტატისტიკის ცენტრალური სამსახურის სასწავლო მისია ეწვია. პოლონელი კოლეგების ვიზიტი მიზნად ისახავდა საქსტატის ახლად შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომლების ინფორმირებულობის გაზრდას სტატისტიკის სფეროში საერთაშორისო ურთიერთობის სპეციფიკის, ძირეული მიმართულებების და მეთოდოლოგიის შესახებ.
- 2015 წლის ივნისში საქსტატში იმყოფებოდა ავსტრიის სტატისტიკის სამსახურის ექსპერტი. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა უცხოელ ვიზიტორთა და ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის კვლევების მეთოდოლოგიური საკითხების შეფასება და სრულყოფა.
- 2015 წელს საქსტატმა მონაწილეობა მიიღო ევროსტატის მიერ ორგანიზებულ ევროპის სტატისტიკოსების და სხვა საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებსა და შეხვედრებში.
- ევროსტატის ექსპერტების მიერ განხორციელდა ბიზნეს სტატისტიკის სექტორული მიმოხილვა, რომლის მიზანი იყო რეკომენდაციების შემუშავება და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

გეგმები 2016 წლისთვის

2016 წელს საქსტატი გეგმავს აქტიურ მუშაობას ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა:

- მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემების დამუშავების დასრულება, საბოლოო მონაცემების გამოქვეყნება;
- სასოფლო-სამეურნეო აღწერის, იურიდიული პირების აღწერის, მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემების დამუშავება და გამოქვეყნება;
- წინა წლების დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება;
- სტატისტიკის განვითარების სტრატეგიის შემუშავება-დამტკიცება;
- თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მიკრომონაცემების გავრცელების სისტემის შექმნის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება;
- ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის NACE REV.2-ის სრულად დანერგვა სტატისტიკურ კვლევებში;
- მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება დანახარჯების მეთოდით მუდმივ ფასებში;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკის სტრატეგიის (SPAERS)დამტკიცება;
- სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის შერჩევის ზომის გაზრდა 12000-მდე და შერჩევის დიზაინის განახლება ;
- სასოფლო მეურნეობათა ახალი შერჩევის საფუძველზე დამატებითი ინდიკატორების გამოქვეყნება და რეგიონული დაფარვის გაუმჯობესება;
- წყლის მოხმარების და დანაკარგების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით წყალმომარაგების კომპანიების საპილოტე გამოკვლევის ჩატარება;
- სასოფლო მეურნეობათა შერჩევით გამოკვლევაში, კომპიუტერის მეშვეობით პერსონალური ინტერვიუირების (CAPI) დანერგვის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება;
- არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლების გამოკვლევის ჩამოყალიბება დამოუკიდებელ გამოკვლევად და მისი განხორციელება.
- საწარმოთა ინოვაციური აქტივობის გამოკვლევის განხორციელება.
- საწარმოებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევის განხორციელება.
- საფოსტო და საკურიერო საქმიანობის საწარმოთა გამოკვლევა.
- დასრულდება მოსამზადებელი სამუშაოები 2017 წლიდან შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევიდან სამუშაო ძალის გამოკვლევის გამოყოფის და დამოუკიდებელი, სრულმასშტაბიანი გამოკვლევის განხორციელების მიზნით. ამასთან, გადაიხედება, როგორც შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის, ასევე სამუშაო ძალის გამოკვლევის შერჩევის დიზაინი და მეთოდოლოგია.
- 2017 წლიდან აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლების წარმოების მიზნით განხორციელდება მეთოდოლოგიური სამუშაოები. აღნიშნული სამუშაო განხორციელდება მსოფლიო ბანკთან, სხვა საერთაშორისო და სამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით;
- განხორციელდება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების კვლევა შინამეურნეობებში. კვლევიდან მიღებული იქნება ისეთი მაჩვენებლები,

როგორებიცაა, შინამეურნობების მიერ კომპიუტერისა და ინტერნეტის წვდომა სახლში, მოსახლეობის მიერ კომპიუტერისა და ინტერნეტის გამოყენება და მისი სიხშირე, ინტერნეტის გამოყენება სხვადასხვა საქმიანობისთვის, კომპიუტერისა და ინტერნეტის გამოყენების უნარ-ჩვევები და სხვა;

- განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის 2011 წლის ვერსიაზე მუშაობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად;
- განხორციელდება გაეროს მიერ შემუშავებული გენდერული გლობალური მინიმალური სიის შესაბამისი მაჩვენებლების მოპოვება და გავრცელება;
- განხორციელდება თეატრების სტატისტიკური კვლევის ონლაინ რეჟიმში ჩატარება;
- განხორციელდება ,,გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვება აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე“ კვლევის მონაცემთა ბაზის გაწმენდა, საბოლოო შედეგების დამუშავება და გავრცელება, აგრეთვე, კვლევის საერთაშორისო მეთოდოლოგიის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
- განხორციელდება ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევის მონაცემთა ბაზის ფორმირება, ლოგიკური კონტროლი, გაწმენდა, მონაცემთა დამუშავება, ანალიზი და საბოლოო შედეგების გავრცელება.